ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

# ოქმი № 4

ქ. ლაგოდეხი

2017 წელი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომის

ო ქ მ ი №4

2017 წლის 25 აპრილი ქ. ლაგოდეხი

სხდომა მოწვეულ იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

**სხდომას ესწრებდნენ:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კარლო ჯამბურია; იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო ბატიაშვილი; გამგებლის პირველი მოადგილე - გიორგი ბოკერია, აგრეთვე პროექტის ავტორები.

საბჭოს წევრები: თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამოქალაქო განვითარების ასოციაციის" (საგა) გამგეობის თავმჯდომარე; ვალდიმერ სეირანოვი - მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი (ქ.ლაგოდეხში სასურსათო მაღაზია ,,ვადოს" მფლობელი); მარიამ ქადაგიძე - მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ.ლაგოდეხში ,,საოჯახო სასტუმრო კივის სახლის" მფლობელი); ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი); მარინა პეიტრიშვილი - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდეხის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი); გივი შუბითიძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი); გელა თედეევი - არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ ,,ლელის" წარმომადგენელი; მინდია დუმბაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი ,,ჰერეთის" წარმომადგენელი; შ.პ.ს. კავკასიონის დირექტორი -დავით ლომიძე.

სხდომაზე არ გამოცხადა საბჭოს წევრი - ლევანი ბარბაქაძე რომელსაც ეცნობა სხდომის დღის შესახებ, თუმცა გამოუცხადებლობის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

სხდომაზე არ გამოცხადა საბჭოს წევრი - ლინა გაგიევა, რომელმაც საბჭოს წევრების ინფორმაციის საქართველოს ტერიტორია დატოვა და საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

•••

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი მიესალმა საბჭოს წევრებს და აუხსნა, რომ საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა მის ინიციატივით. საკითხი ეხება იმ პროექტების განხილვას, რომელიც ფინანსდება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ხოლო მუნიციპალიტეტი შედის ამ პროექტების თანადაფინანსებაში.

გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი საზოგადოების ინტერესის შემცველია მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ზემო ხსენებული საკითხი განგვეხილა სამოქალაქო მჩეველთა საბჭოსთან ერთად, რათა მოხდეს პრეტენზიებისა და მოსაზრების გათვალისწინება, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოების აზრს.

წარმოგიდგენთ დანართის სახით იმ პროექტების ჩამონათვალს, რომლის დაგეგმვა-განხორციელებაც იგეგმება შესაბამის დონორ ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.

პროექტის ავტორებს გთხოვთ საბჭოს წარმოუდგინოთ თქვენივე პროექტი და შემდგომში ვიმსჯელოთ თითოეული პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე.

| | ადგილმდე ბარეობა | გვარი | სახელწოდება | ფონდებიდან მოთხოვნილი თანხა ინფრასტრუქტურის თვის | აიპების თანამონაწილეო ბა ინვენტარით | გამგეობის თანამონაწილეობა | პროექტის ღირ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაგოდეხი | დიმა ზურაბაშვილი | ღია ფიტნეს მოედანი რანის სტადიონთან | 15113.98 | 1000 | 8966.59 | **25081** |
| 2 | სვიდება | ლალი აბულაშვილი | ,,სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა სოფ. სვიდებაში'' | 47000 | | 38971.39 | **85971** |
| 3 | გიორგეთი | შორენა ლომჯანიძე | კულტურის სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია სოფ. გიორგეთში | 32857.11 | | 22532.21 | **55389** |
| 4 | ლელიანი | ,,ლელიანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია." | ,,ლელიანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია." | 60081 | | 29013.54 | **89095** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ლაგოდეხი | სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი | „ფიტნეს-კლუბი დახურულ სპორტულ დარბაზში ლაგოდეხში - „ახალგაზრდული ინიციატივა“ | 12457.76 | 1300 | **8017.04** | **21775** |
| 6 | ლაგოდეხი | ააიპ ,,კულტურისა და ტურიზმის განვითრების ცენტრი" | ,,კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრში" მუსიკალურ-ინსტრუმენტალური სტუდიის შექმნა | 28704 | | **9043.03** | **37747** |
| 7 | ლაგოდეხი | ა.ა.ი.პ. ორგანიზაცია „მადლი“/მუნიციპალიტეტი | ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შექმნა „მომავლის იმედი“ | 26504.61 | | **8126.61** | **34631** |
| 8 | ლაგოდეხი | საინიციატივო ჯგუფი ალექსანდრე კურტანიძე/ კულტურისა და ტურიზმის ცენტრი | ტურიზმის საინფორმაციო და ტურისტებისათვის ხელნაკეთი ნივთების გამოფენის ცენტრი - ,,მიეცი ნიჭსა გზა ფართო" | 16136 | 1800 | **0** | **17936** |
| 9 | ლაგოდეხი | საინიციატივო ჯგუფი - ფატმან მიქავა/კულტურისა და ტურიზმის ცენტრი | ლტოლვილებისათვის ხელსაქმისა და სამკერვალო საამქროს მოწყობა - ,,ერთიანი საქართველო,, | 22500 | 2500 | **0** | **25000** |
| ს ჯამი | | | | **261354.68** | **6600** | **124670.41** | **392625** |
| 10 | ლაგოდეხი | ,,ფონდი სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" | ლაგოდეხის ნაკრძლის მიმდებარე დ ტყე-პარკის სკვერის რეაბილიტაცია | 50000 | | **38267.42** | **88267** |
| 11 | ვარდისუბანი | ,,ფონდი სტრატეგიული კვლევებისა და გან ვითარების ცენტრი" | ვარდისუბნის საბავშვო ბაღისა და ეზოს რეაბილიტა | 8000 | | **16957.1** | **24957** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ცია | | | | |
| 12 | ჰერეთისკარი | სიდა | საბავშვო ბაღის (დღის ცენტრის) მშენებლობა | 38999.95 | | 19442.49 | **58442.44** |
| ჰი | | | | **358354.63** | **6600** | **199337.42** | **564292.05** |
| ლ ჯამი | | | | **358354.63** | | **205937.42** | **564292.05** |

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განიხილეს საკითხი, წარმოდგენილი დოკუმენტები, გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და დააფიქსირეს პოზიციები. საბჭოს წევრმა დავით ლომიძემ დააფიქსირა პოზიცია დიმა ზურაბაშვილის პროექტზე ,,ღია ფიტნეს მოედანი რანი სტადიონთან“, მსგავსი ტიპის პროექტი უნდა იყოს ჩემი აზრით ხელოვნურსაფარიან სტადიონზე, რომელსაც მოსახლეობა აღარ იყენებს, ხოლო ეს ტერიტორია უნდა იყოს გამოყენებული პარკის ან სკვერის მოსაწყობად და გასაგრძელებლად. გამგებელმა კარლო ჯამბურიამ გააკეთა განმარტება, თუ რატომ იქნა შერჩეული ეს კონკრეტული ადგილი და მიუთითა, რომ მოსახლეობის ერთ-ერთ თავშეყრის ადგილს სწორედ ეს ტერიტორია წარმოადგენს, ტერიტორია განათდება და ყველას შეეძლება უფასოდ ისარგებლოს ამ ტრენაჟორებით. კითხვაზე ვინ გააკონტროლებს და ვინ დაიცავს დაზიანებისგან, გამგებელი პასუხობს: ტერიტორია გაკონტროლდება რამდენიმე ვიდეო თვალის საშუალებით და რეაგირებაც იქნება შესაბამისი.

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა**

**გადაწყვიტეს:**

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ის პროექტები, რომელშიც მუნიციპალიტეტი შედის თანადაფინანსებაში მოწონებულ იქნას საბჭოს მიერ და მიეცეს რეკომენდაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს მის დასაფინანსებლად და შემდგომში განსახორციელებლად.**

საბჭოს თავმჯდომარე: ------------------------- ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი);

საბჭოს მდივანი: ------------------------- თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის" (საგა) გამგეობის თავმჯდომარე;

საბჭოს წევრები:

ვალდიმერ სეირანოვი ------------------------- მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი (ქ.ლაგოდეხში სასურსათო მაღაზია „ვადოს" მფლობელი);

მარიამ ქადაგიძე ------------------------- მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ.ლაგოდეხში „საოჯახო სასტუმრო კივის სახლის" მფლობელი);

მარინა პეიტრიშვილი ------------------------- მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდეხის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი);

გივი შუბითიძე ------------------------- მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი)

გელა თედეევი ------------------------- არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ლელის" წარმომადგენელი

მინდია დუმბაძე ------------------------- არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი „ჰერეთის" წარმომადგენელი

დავით ლომიძე ------------------------- შ.პ.ს. კავკასიონის დირექტორი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ------------------------- კარლო ჯამბურია;

სხდომა დასრულდა 18:00 საათზე

**N4** **25.04. 2017 წ.**

# რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ $86^{1}$ მუხლის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 ოქტომბრის N2/1395 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებისა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმი N4-ის შესაბამისად:

დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ის პროექტები, რომელშიც მუნიციპალიტეტი შედის თანადაფინანსებაში, მოწონებულ იქნა საბჭოს მიერ, რის გამოც ეძლევა რეკომენდაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს წინამდებარე პროექტების დასაფინანსებლად და შემდგომში მათ განსახორციელებლად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ხათუნა ბარბაქაძე